



ქ. დედოფლისწყარო

05.10. 2016 წელი
ქ. დედოფლისწყარო,
მ. კოსტავას ქ. №44
ტელ. 0 356 2222 25
www.dedoplistskaro.ge
ელ.ფოსტა: dedoplistskaro_region@yahoo.com

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის
ბრძანება №614**

**ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახებისათვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 თებერვლის №04 დადგენილებით დამტკიცებული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამისა და პროგრამის ბიუჯეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახებისათვის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებისათვის გათვალისწინებული ხარჯებიდან, გამოიყოს 1800 (ერთი ათას ორასი) ლარი დანართის შესაბამისად. დანართი (ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების სია, რომელთაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყოთ თანხა) თან ერთვის.
2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურმა (ელენე ბაიაშვილი) უზრუნველყოს აღნიშნული თანხის ჩარიცხვა შესაბამის საბანკო ანგარიშებზე დანართის (ერთი ფურცელი) შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელთან (ქ.დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №44) და შემდგომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, ჰამლეტ გონაშვილის ქ.№2) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სოლომონ ღორაშვილი
გამგებლის პირველი მოადგილე

